№519 2016 წლის 28 მარტი ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მეწარმეობის განვითარების სააგენტოს მიერ „აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის ბენეფიციარისთვის თანადაფინანსების განხორციელების შესახებ

1. „აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის №365 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის მე-6 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - მეწარმეობის განვითარების სააგენტომ განახორციელოს სს „ქართუ ბანკის“ მიერ ამავე პროგრამის ფარგლებში შპს „ჯი-ემ-პისათვის“ (ს/კ: 211385268) დამტკიცებული 1,975,000 (ერთი მილიონ ცხრაას სამოცდათხუთმეტი ათასი) აშშ დოლარის ოდენობის პარალელურ კრედიტზე დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება, აღნიშნული სახელმწიფო პროგრამის მე-5 და მე-6 მუხლებით პროგრამის ბენეფიციარისთვის განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების პირობით.

2. ბანკის მიერ გაცემულ კრედიტზე დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება სსიპ - მეწარმეობის განვითარების სააგენტოს

მიერ განხორციელდეს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის №365 დადგენილების მე-6 მუხლის მე-12 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად და მისი ოდენობა განისაზღვროს კრედიტზე დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთიდან 8%-ის ოდენობით, ამავე სააგენტოსათვის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში.

3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა სსიპ - მეწარმეობის განვითარების სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიების განხორციელება.

4. ეს განკარგულება ძალაშია „აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის №365 დადგენილებაში შესაბამისი ცვლილების ამოქმედებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**